ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2862221

ნომერი: AR1439338

თარიღი : 10.09.2016

გაცემის თარიღი : 28.09.2016

გაცნობის თარიღი : 29.09.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხიზაბავრი , N 47 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ემზარი მელიქიძე პ/ნ 35001035559
- თბილისი ზაჰესი თავისუფლების ქ. N 23

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანდუსის მოწყობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ განმეორებით ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ აღნიშნული ხარვეზების შესახებ თქვენ უკვე გეცნობათ AR1439338 განცხადებაზე №2835877 გადაწყვეტილებით, რაც თქვენი მხრიდან სრულად არ არის გამოსწორებული, კერძოდ:

1. გაურკვეველია თქვენი უფლებამოსილების საკითხი. გაითვალისწინეთ: არქიტექტურის სამსახურს განცხადებით უნდა მომართოს საპროექტო მიწის ნაკვეთის (ან საპროექტო ფართის) მესაკუთრემ, მოსარგებლემ ან მათმა მინდობილმა პირმა (მინდონილობა ატვირთული უნდა იყოს წარმომადგენლის მინდობილობა/რწმუნებულების ველში).

2. "განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე" ველში – საკადასტრო ერთეულის დამატებაში, საკადასტრო კოდში მიეთითოს მაღაზიის (რომლისთვისაც კეთდება პანდუსი) ფართის მთლიანი საკადასტრო კოდი, წილობრივი მონაცემებით ან აიტვირთოს ფართის კუთვნილების დამადასტურებელი საბუთი – ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

3. ესკიზურ ნახაზზე, კერძოდ ჭრილებზე მოაჯირის სიმაღლე არასწორად არის მითითებული, უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მთავრობის 06.01.2014 წ. #41-ე დადგენილების ნახ.#2-ში მითითებულ ზომებს. მოიყვანეთ შესაბამისობაში

4. ვინაიდან პანდუსის მოწყობა ხორციელდება ტერიტორიაზე გამავალი N 01.01.755 მილსადენის არეალში, წარმოსადგენია შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული თანხმობა.

5. იმის გათვალისწინებით, რომ საპროექტო სამუშაოები უშუალო შეხებაში მოდის სარდაფის ფართის ფასადთან, დამატებით წარმოდგენილ უნდა იქნას აღნიშნული სარდაფის ფართის მესაკუთრის თანხმობა, წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით პანდუსის მოწყობასთან დაკავშირებით, ამავე სარდაფის საჯარო რეესტრის ამონაწერთან ერთად. იმ შემთხვევაში, თუ სარდაფის ფართი არავის საკუთრებაში არ არის, მაშინ ამის შესახებ ინფორმაცია უნდა დაფიქსირდეს ამხანაგობის კრების ოქმში.

გაითვალისწინეთ: სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში, წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.